საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-15/7686
16/05/2023

7686-2-15-2-202305161640

მოქალაქე ნაზიბროლა რეხვიაშვილს
ელექტრონული მისამართი: editorrekhviashvili@gmail.com
ტელ: 577 200001

ქალბატონო ნაზიბროლა,

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში (შემდგომში - დეპარტამენტი) 2023 წლის 1 მაისს შემოვიდა თქვენი 2023 წლის 28 აპრილის განცხადება (დეპარტამენტში რეგისტრაციის №13216/2) (შემდგომში - განცხადება), რომლითაც ითხოვთ საჯარო ინფორმაციის მიწოდებას.

დეპარტამენტმა განიხილა თქვენი განცხადება და გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტსა და კომპანია Akkord Industry Construction Investment Corporation OJSC (შემდგომში-კომპანია) შორის 2018 წლის 4 დეკემბერს გაფორმდა N SRIP/CW/ICB-02 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც კომპანია ახორციელებდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის (50კმ) გზის, მოლითი - ჩუმათელეთის მონაკვეთის კმ24+620- კმ50+244 (ლოტი 2) სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო 2019 წლის 31 მაისს, და სამუშაოების დასრულების თარიღად განსაზღვრული იყო 900 დღე (2021 წლის 16 ნოემბერი). შესრულებული სამუშაოების მოცულობა შედგენს 11.8%. ხელშეკრულების ფარგლებში კომპანიისათვის გადარიცხულმა თანხამ ჯამში ავანსის ჩათვლით შეადგინა 13 979 851.64 ლარი, საიდანაც ავანსად გადარიცხული თანხა შეადგენს 8 184 917.60 ლარს, რომელიც საბანკო გარანტიის ამოქმედების შედეგად მთლიანად იქნა ამოღებული და ჩარიცხული სახელმწიფო ბიუჯეტში.

2021 წლის 3 ნოემბერს დეპარტამენტის მიერ ცალმხრივად იქნა შეწყვეტილი ხელშეკრულება, კონტრაქტორის მიერ ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ხელშეკრულების ზოგადი პირობების 15.2 მუხლის შესაბამისად. კომპანიის მიმართ გამოყენებული იქნა პასუხისმგებლობის ზომა და ამოქმედებული იქნა ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რის საფუძველზეც სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 5 456 612 (ხუთი მილიონ ოთხას ორმოცდათექვსმეტი ათას ექვსას თორმეტი) ლარი.

ასევე, გაცნობებთ, რომ დონორ ორგანიზაციასთან შეთანხმების შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, 2022 წლის 11 მაისს გამოცხადდა ტენდერი შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის, მოლითი - ჩუმათელეთის გზის კმ24+620 - კმ50+244 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ერთმა პრეტენდენტმა. აღნიშნული ტენდერი ჩაიშალა აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს (აპრილი 2015) 2.61 – 2.64 მუხლების შესაბამისად. სამუშაოების სავარაუდო ღირებულების გადაფასებისა და დონორ ორგანიზაციასთან შეთანხმების შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ, 2022 წლის 14 ოქტომბერს ხელმეორედ გამოცხადდა

ტენდერი, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთმა პრეტენდენტმა. აღნიშნული ტენდერი ჩაიშალა აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს (აპრილი 2015) 2.61 – 2.64 მუხლების შესაბამისად.

2023 წლის 16 მაისს გამოცხადდა ტენდერი - შიდასახელმწიფოებრივი გზის ძირულა - ხარაგაული - მოლითი - ფონა - ჩუმათელეთის, მოლითი - ჩუმათელეთის გზის კმ24+620 - კმ50+244 მონაკვეთის დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაოებზე. სატენდერო პროცედურების დასრულების, გამარჯვებული კომპანიის გამოვლენისა და შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაიწყება დარჩენილი სარეაბილიტაციო სამუშაობი.

პატივისცემით,

ფიქრია კვერნაძე

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი

იურიდიული სამსახური